ტემპი, ტემპი…

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 28 მარტი.

“დინამო” (თბილისი) – “ზენიტი” (ლენინგრადი) 3:1 (2:0).

“დინამო”: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი (ჯოხაძე), შენგელია (ჟვანია).

“ზენიტი”: ნიკოლაევი, დავიდოვი, სტეპანოვი (ბონდარენკო), გოლუბევი (ლარიონოვი), ვედენეევი, იაკოვლევი, დოლგოპოლოვი, კაზაჩონოკი, ჟელუდკოვი, ბროშინი, გერასიმოვი.

მსაჯი: ვ. ბუტენკო (მოსკოვი).

გაფრთხილებულია დავიდოვი.

როცა ვადარებთ თბილისის “დინამოს” გუშინდელ თამაშს ბოლო ხანების იმ 3 მატჩს, ჩვენმა გუნდმა რომ ზედიზედ განიცადა მარცხი, კიდევ და კიდევ ვრწმუნდებით, რომ დინამოელთათვის კატეგორიულად, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება უტემპოდ, ნელა თამაში. ამის მოწმენი არაერთხელ ვყოფილვართ, ბევრჯერ გვითქვამს და გუშინაც კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ თბილისელთა ერთ–ერთი (თუ უმთავრესი არა) ძალზე ეფექტური, სახიფათო იარაღია მაღალი ტემპი. საკმარისია მათ მთელი სისწრაფით აამუშაონ თავიანთი მექანიზმი, მაღალ ტექნიკას, ტაქტიკურ ვარიანტებს შეუხამონ სისწრაფე და მეტოქეც ფაქტიურად პარალიზებულია. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ტემპიანი თამაში საჭიროა დასაწყისიდანვე, პირველივე წუთებიდან და არა მხოლოდ მას მერე, როცა ამ მთავარ იარაღს ხშირად თამაშის დაწყების შემდეგ, შუა პერიოდში მივმართავთ ხოლმე.

“ზენიტი” შარშანდელი ჩემპიონატის პრიზიორია და I ტურში განცდილი მარცხის შემდეგ ყველა ღონეს მიმართა წარმატების მისაღწევად, მაგრამ თბილისელებთან ბრძოლა მათს ძალებს აღემატებოდა. დინამოელები ყველანი ფორმაში იყვნენ, იგრძნობოდა საერთო მობილიზება.

ანგარიში მე–5 წუთზე გახსნა სულაქველიძემ, რომელმაც კარგად გამოიყენა ყიფიანის მეტად ზუსტი გადაცემა – 1:0.,

45–ე წუთზე გუცაევმა მინდვრის შუაგულიდან სწრაფი ინდივიდუალური გარღვევა შეასრულა, რთულ სიტუაციაში არ დაკარგა ბურთი და მეორედ აიძულა ნიკოლაევი შეესრულებინა უსიამოვნო პროცედურა – 2:0.

ზენიტელებს თამაშის მესამედ დაწყება ცენტრიდან მოუხდათ 65–ე წუთზე, როცა ყიფიანის საუკეთესო გადაცემის შემდეგ შენგელია შეიჭრა მოპირდაპირე საჯარიმო მოედანზე და მცველებმა იგი უხეშად წააქციეს. ყიფიანმა ზუსტად დაარტყა პენალტი – 3:0.

დინამოელები დიდი ანგარიშით იგებდნენ თამაშს, მაგრამ უკვე მატჩის დასასრულს მსაჯმა საკმაოდ პრობლემატური 11–მეტრიანი დანიშნა მათს კარში და კაზაჩონოკმა შეძლო ერთი საპასუხო გოლის გატანა – 1:3.

მატჩის დამთავრების შემდეგ მცირე კომენტარი ვთხოვეთ სპორტის დამსახურებულ ოსტატს გიორგი ანთაძეს:

– გარკვეულ წარუმატებლობათა შემდეგ, “ზენიტთან” თამაშს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი გუნდისთვის. წინ უაღრესად საპასუხისმგებლო შეხვედრებია მოსკოვის “სპარტაკთან”, “დინამოსთან” და რაც მთავარია, როტერდამის “ფეიენოორდთან”. საჭირო იყო საკუთარ ძალებში დარწმუნება, ნებისყოფის მობილიზება, რწმენის განმტკიცება. ყველაფერი კარგად

წარიმართა და შეგვიძლია ვირწმუნოთ, რომ ამ უახლოეს თამაშებს თბილისის “დინამო” შესაფერისი სიძლიერით ჩაატარებს. გუშინდელი მატჩი გვაძლევს ამის საფუძველს.

თუ ცალკეულ გამონაკლისს არ მივიღებთ მხედველობაში, ჩვენი გუნდი მოქმედებდა შეთანხმებულად, ტემპიანად, შემტევი კომბინაციებით, რომელთა სულისჩამდგმელი იყო ყიფიანი. რა თქმა უნდა, მაღალი ტემპი თბილისის “დინამოს” ერთ–ერთი უმთავრესი კოზირია.

სავსებით ვეთანხმებით ვეტერანის მოსაზრებას.

ბ. ქორქია.

“ლელო”, 29 მარტი 1981 წ.